ხატია იმერლიშვილი •

საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში

აბსტრაქტი

საგარეო ორიენტირის განსაზღვრა საგარეო ასპარეზზე ნებისმიერი ქვეყნის მოქმედებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ საგარეო პოლიტიკური ორიენტირი განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტებს. სტატიის მიზანია დადგინდეს თუ რა კონკრეტული ფაქტორები ახდენს გავლენას საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირის პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

მოცემული მიზნის მისაღწევად განხილულია ქვეყნის ოფიციალური პოზიცია, ეროვნული დონის დეკლარირებული დოკუმენტების მიხედვით. ასევე, საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად მოცემულია ქართული პარტიული სპექტრის პოზიციები მოცემულ საკითხთან მიმართებით, წინასაარჩევნო პროგრამებში გაცხადებული პოზიციებიდან გამომდინარე. აგრეთვე ნაშრომში განხილულია საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით არსებული თეორიული ასპექტები და ლიტარატურა.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ: მეორეული წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზი და დოკუმენტების ანალიზი. რაც შეეხება შერჩევის მეთოდს, ნაშრომში გამოყენებულია, არაალბათური შერჩევის ტიპი - მიზნობრივი ანუ შე-

---

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

ფასებითი შერჩევა, რომლის მიხედვითაც კვლევისთვის შეირჩა ორი პარტია: "ქართული ოცნება" და "ერთიანი ნაციონალური მორაობა".

დოკუმენტების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ექვსი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო ორიენტირის განსაზღვრაზე: ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური ფაქტორები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რუსეთთან ურთიერთობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება. შესაბამისად სწორედ აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით, შევისწავლე პარტიების გაცხადებული პოზიციები საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განსაზღვრის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ფაქტორების როლს.

საკვანძო სიტყვები: საგარეო პოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოება, ტეროტორიული მთლიანობა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რუსეთთან ურთიერთობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება.

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს წინაშე ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი. მოცემული თემა განიხილებოდა, როგორც პრეზიდენტისა და პარლამენტის, ასევე პოლიტიკური პარტიების, მესამე სექტორისა და საზოგადოების დისკურსში. საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით დღეს ქვეყანას გაცხადებული ხედვა აქვს, რომელიც კონსტიტუციაშია გაწერილი, „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრუ-

ლი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად" (საქართველოს კონსტიტუცია, 2020).

შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ორიენტირის განსაზღვრის საკითხი, ჩვენი ქვეყნის, პოლიტიკურ დღის წესრიგში მუდმივად აქტუალურია. საქართველოს დასავლური კურსი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც აისახა და აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა ესწრაფვის გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი, რაც ქვეყანას დემოკრატიის კონსოლიდაციის, ქვეყნის კეთილდღეობისა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების საშუალებას მისცემს (საქართველოს მთავრობა, 2011). ასევე, 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პირველ სტრატეგიას, „ევროკავშირისა და ნატოს წევრობა საქართველოს უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტია, რომელიც ეფუძნება საქართველოს ცივილიზაციურ არჩევანს, არის ფართო საზოგადოებრივი თანხმობის შედეგი და გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციით" (საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019).

საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით სამეცნიერო მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაშრომები არსებობს. ბიჩეინი და კოენი თავის ნაშრომში „წადი დასავლეთით: საქართველოს ევროპული იდენტობა და მისი როლი საშინაო პოლიტიკასა და საგარეო პოლიტიკის მიზნებში", განიხილავენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს და ამ მიმართულებით აღნიშნავენ, რომ საგარეო საკითხები უსაფრთხოების და იდენტობის პოლიტიკის ასახვას წარმოადგენს (Beacháin & Coene, 2014). უსაფრთხოების საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ნიკა ჩიტაძის ნაშრომი, „ევროინტეგრაცია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი" (Chitadze, 2014). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ორიენტირის განსაზღვრის პროცეს-

ში ეკონომიკურ ფაქტორებთან მიმართებით საკმაოდ საინტერესოა გოგორიშვილის ნაშრომი, რომელიც საქართველოს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრობს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში (Gogorishvili, 2016).

აღსანიშნავია, ისიც, რომ ნაშრომი გარკვეულწილად ეყრდნობა „პატარა ქვეყნის“ კონცეფციას, შესაბამისად ამ მხრივ საინტერესოა, ერიკ დავთეინის ნაშრომი, რომელშიც აღნიშნავს, რომ სწორედ პატარა სახელმწიფოს პერსპექტივით განისაზღვრება საგარეო პოლიტიკა (Davtyan, 2021). ხოლო კონკრეტულად პარტიებთან მიმართებით ლევან კახიშვილი თავის ნაშრომში წარმოადგენს ახალ ხედვას, თუ როგორ შეიძლება გაიზომოს ქართული პარტიების საგარეოპოლიტიკური ორიენტირები (Kakhishvili, 2021). ამავდროულად, პარტიების ევროპასთან დამოკიდებულება არის განხილული სანდრო ტაბატაძის ნაშრომში, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განზომილებებით. საინტერესოა, რომ ნაშრომის მიხედვით, ყველაზე ევროსკეპტიკური პარტიებიც კი, ევროპისგან მოელიან მეტ ეკონომიკურ ზრდას და ამიტომ, მხარს უჭერენ ეკონომიკურ ინტეგრაციას (Tabatadze, 2021). აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობით შეგვიძლია ვისაუბროთ ეკონომიკური ფაქტორების უმნიშვნელოვანეს როლზე პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის დროს.

მოცემული კვლევით შევეცდები, ოფიციალურ დოკუმენტებში დეკლარირებულ პოზიციებზე დაყრდნობით, გამოვკვეთო თუ რა სახის პოლიტიკის გატარება სურს ჩვენს ქვეყანას საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და რა ძირითადი ფაქტორები ახდენს გავლენას ორიენტირის განსაზღვრის პროცესში. საინტერესოა ისიც, თუ რა პოზიციები გააჩნია ამ მხრივ ქართულ პარტიულ სპექტრს (რომელთაც ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილებაც გააჩნიათ) და რა არის მათთვის ამოსავალი პრინციპები საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას.

თეორიული მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია

პირველ რიგში უნდა შევეხოთ რეალიზმის სკოლას, რომელიც ეყრდნობა ისეთ ნორმატიულ ფასეულობებს, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება და თვითგადარჩენა. რეალიზმის სკოლის მთავარი წარმომადგენელი გახლავთ ჰანს მორგენთაუ, რომელიც თავის ნაშრომში „სახელმწიფოთა პოლიტიკა, ძალაუფლებისა და მშვიდობისთვის ბრძოლა“ საუბრობს "პატარა სახელმწიფოთა" როლზე ძალის პოლიტიკურ კონცეფციაში (Morgenthau, 1993) მორგენთაუს შეფასებით, საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში "პატარა სახელმწიფოებს" მეორეხარისხოვანი როლი უკავიათ, აქედან გამომდინარე მათი ბედ-იღბალი ძლიერი ქვეყნების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. იგი აღნიშნავს, რომ „პატარა ქვეყანამ საკუთარი უფლებების დასაცავად უფრო ძლიერი მეგობრის მფარველობა უნდა მიიღოს” და საჭიროდ მიიჩნევს, პატარა ქვეყნის უფლებების დაცვას ძალათა წონასწორობის მექანიზმის საშუალებით (Morgenthau, 1993). მორგენთაუ საუბრობს იმაზე, თუ რა ფაქტორების გავლენით მოქმედებენ სახელმწიფოს მმართველები საერთაშორისო ასპარეზზე და მთავარ მამოძრავებლად გამოყოფს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს. საქართველო ცდილობს იპოვოს ისეთი მოკავშირე, რომელიც ხელს შეუწყობს მის ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას, ხოლო რეალიზმის კონცეფცია სწორედ ამ ორ ძირითად ფაქტორს მიიჩნევს ქვეყნის არსებობის შენარჩუნებისთვის მთავარ ამოსავალ პრინციპად.

აგრეთვე რეალიზმის კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოთა მთავარი მამოძრავებელი მოტივი არის თვითგადარჩენაზე ზრუნვა, რათა საერთაშორისო სისტემაში მათ შეძლონ საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნება. ამიტომ „პატარა სახელმწიფოები“ მოქმედებენ მაქსიმალურად რაციონალურად, მოკავშირეს ირჩევენ ზედმიწევნით ფრთხილად და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო უკვე წლებია ეროვნულ

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე დგას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ნამდვილად გასათვალისწინებელია, მორგენთაუს ხედვა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში რთულია თავი დაიმკვიდრო სუვერენულ სახელმწიფოდ სტაბილურობის გარეშე.

მაშინ, როდესაც ქენანანი საუბრობს მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოების წამყვან როლზე, რეალიზმის სკოლის წარმომადგენელი არნოლდ ვოლფერსი ყურადღებას ამახვილებს „პარადოქსული" ფენომენთან დაკავშირებით (Wolfers, 1965), რაშიც იგი მოიაზრებს სუსტის ძლიერებას, ვოლფერსის შეფასებით, არსებობს ბევრი „პატარა სახელმწიფო", რომელმაც მასზე ძლიერი ქვეყნის ზეწოლას გაუძლო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვოლფერსის აზრით სუსტ სახელმწიფოებსაც შეუძლიათ ძლიერი პოლიტიკის გატარება საკუთარი შესაძლებლობების სწორად გამოყენების ხარჯზე (Wolfers, 1965). ამიტომ ვოლფერსის თეორია შეგვიძლია მივიჩნიოთ ქენანის თეორიის ალტერნატივად, ვინაიდან ვოლფერსი გარკვეულწილად აბალანსებს იმ მოსაზრებას, რომ მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოები ქმინიან მსოფლიო პოლიტიკურ დღის წესრიგს.

ეროვნული უსაფრთხოება აუცილებელი ფაქტორია იმის განსასაზღვრად თუ როგორი იქნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი, ხოლო მეორე მხრივ საჭიროა იმის განსაზღვრა თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ეროვნულ უსაფრთხოებაში. აქედან გამომდინარე განვიხილავ არნოლდ ვოლფერსის თეორიას, რომელიც აკონკრეტებს თუ რა ფაქტორებს შეიძლება მოიაზრებდეს ეროვნული უსაფრთხოება. ვოლფერსი სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებს აჯგუფებს: ერთი მხრივ, გამოყოფს ფლობის მიზნებს, რომელშიც მოიაზრებს ეროვნულ დამოუკიდებლობას, ფიზიკურ გადარჩენასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ხოლო მეორე მხრივ გამოყოფს „გარემოს" მიზნებს, რომლებიც ეროვნული საზღვრების გარეთ საერთაშორისო გარემოზე ზემოქმედებენ (Wolfers, 1965). იქ-

იდან გამომდინარე რომ ჩვენი ქვეყნისთვის, ტერიტორიული მთლიანობა დგას დღის წესრიგში, შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის მაგალითს თავისუფლად მოვარგოთ ვოლფერსის თეორია, ხოლო გარემოს მიზნებში თავის მხრივ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისკენ სწრაფვა. ვოლფერსი თვლის, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა უნდა წარიმართოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რაშიც უპირველეს ყოვლისა მოიაზრებს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და გადარჩენას, მიაჩნია, რომ „გადარჩენას“ სხვადასხვა სახელმწიფოსათვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს (Wolfers, 1965). ვოლფერსის მიხედვით, ეროვნული ინტერესების განსაზღვრა მომდინარეობს ფასეულობათა იერარქიიდან გამომდინარე, მაგრამ ეროვნულ უსაფრთხოებას იგი განმსაზღვრელ როლს ანიჭებს.

ასევე კვლევისთვის საინტერესოა ჰეგემონური სტაბილურობის თეორია, რომელიც ასევე ეყრდნობა პოლიტიკურ რეალიზმს. ამ თეორიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია რობერტ გილპინი (Gilpin, 1987). მოცემული თეორიის მიხედვით, გარკვეული სახელმწიფოს დომინირება საჭიროა „ღია, ლიბერალური და სტაბილური მსოფლიო ეკონომიკისათვის“. ამგვარი ჰეგემონის დანიშნულებაა კოორდინაციაში ამყოფოს სხვა ქვეყნები და მათ ქცევისა და მოქმედების განსაზღვრული წესები დაუწესოს. ამგვარ სიტუაციაში კი სხვა ქვეყნები დაცულად გრძნობენ თავს და არ ეშინიათ საკუთარი ბაზრების გახსნის. თუმცა, თეორიის მიხედვით, ჰეგემონის დასუსტებას მოყვება ეკონომიკური დაცემა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს არასტაბილურობას, აქედან გამომდინარე გილპინს მიაჩნია, რომ „ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის” განსაზღვრებაში მთავარ სიტყვას „ლიბერალური” წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ თეორიაში იგულისხმება „ღია და არადისკრიმინაციულ თავისუფალ ბაზარზე დამყარებული საერთაშორისო ეკონომიკა” (Giplin, 1987). მას მიაჩნია, რომ ლიბერალური საერთაშორისო ეკონომიკური წეს-

რიგი, ვერ შეძლებს განვითარებას სრულად ჰეგემონი/დომინანტი სახელმწიფოს გარეშე. მაგრამ ლიბერალური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის მხოლოდ ჰეგემონის არსებობა არ არის საკმარისი. არამედ "ჰეგემონი თავად უნდა იყოს ლიბერალური პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული მიმდევარი და დამცველი" (Giplin, 1987).

მიმოხილული ლიტერატურიდანაც ჩანს, რომ არსებობს გარკვეული პრიორიტეტები ქვეყნებისთვის, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორი იქნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტირი. ამიტომ მოცემული კვლევით შევეცდები გამოვკვეთო თუ რა სახის პოლიტიკის გატარება სურს ჩვენს ქვეყანას და რა ძირითადი ფაქტორები ახდენს გავლენას საგარეო კურსის არჩევისას. ასევე საინტერესოა, თუ რა პოზიციები გააჩნიათ ამ მხრივ ქართულ პარტიულ სპექტრს და რა არის მათთვის ამოსავალი პრინციპი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას.

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგის ფორმირებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარტიულ სპექტრს და სწორედ პარტიები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრის პროცესში, ნაშრომში განხილულია პარტიების ოფიციალურად დეკლარირებული პოზიციები საკითხთან მიმართებით. პოლიტიკური პარტიების მთავარი საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განსაზღვრის მიზნით ნაშრომი ეფუძნება კვლევის თვისებრივ მეთოდს, კონკრეტულად კი მეორეული წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზს. დოკუმენტების ანალიზის მეშვეობით - სიღრმისეულად შევისწავლი, ჩემს მიერ შერჩეული პარტიების („ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობა") 2016-2020 წლების წინასაარჩევნო პროგრამებს.

პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების შესწავლის მიზნით კვლევაში გამოყენებულია არაალბათური შერჩევის ტიპი - მიზნობ-

რივი ანუ შეფასებითი შერჩევა. რადგანაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს განსაზღვრავს ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანო, კვლევისთვის შეირჩა ორი საპარლამენტო პარტია, რომელთაც 2016-2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით პარლამენტში რაოდენობრივად ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს/ჰყავდა: „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. აღნიშული პარტიები ამავდროულად, შეირჩა იქიდან გამომდინარე, რომ ორივე მათგანს აქვს ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება და სწორედ მათი ხელმძღვანელობით შეიქმნა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით სახელმწიფოებრივი დონის დოკუმენტები: „ნაციონალური მოძრაობის” ხელისუფლების პირობებში - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, „ქართული ოცნების” ხელისუფლების პირობებში კი - 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.

ანალიზმა გამოკვეთა თუ როგორ აფასებენ “ქართული ოცნება” და “ნაციონალური მოძრაობა” მოცემულ ფაქტორებს: ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური ფაქტორები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რუსეთთან ურთიერთობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება და თითოეული პოლიტიკური სუბიექტისთვის რომელი მათგანია ყველაზე მეტად პრიორიტეტული საგარეო კურსის განმსაზღვრისას.

თვისებრივი კვლევის შედეგები

ეროვნული უსაფრთხოება - 2016 წლის საპარლამეტო არჩევნების, **„ქართული ოცნების”** წინასაარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ „ქვეყნის გრძელვადიანი, მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების საფუძველი უსაფრთხოების, სტაბილურობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა, ხოლო ამ მიზნების მიღწევის საუკეთესო გზად მათ ესახებათ ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია” (ქართული ოცნება, 2016). ასევე „ქართული ოცნება” საკმაოდ დიდ

მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში ნატო-ში ინტეგრაციასა და აშშ-თან თანამშრომლობის გაღრმავებას. ასევე, „ქართული ოცნებისთვის" ეროვნული უსაფრთხოების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქვეყნის საგარეო ორიენტირის განსაზღვრის პროცესში მიანიშნებს ისიც, რომ ისინი ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სწორედ თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას მოიაზრებენ. რაც შეეხება „**ნაციონალურ მოძრაობას",** „ქართული ოცნების" მსგავსად მათი ამოსავალი პრინციპიც სწორედ ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესება წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს მშვიდობას. ამ მიმართულებით ყურადღებას სწორედ თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე ამახვილებენ. აქედან გამომდინარე, მათი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება საგარეო ურთიერთობის მიმართულებით სწორედ უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობის ზრდისკენ მიმართულ რეფორმებს ეფუძნება (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016). ასევე მაშინ როდესაც „ქართული ოცნების" პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ამ მიმართულებით დასახული მიზნების მიღწევის საუკეთესო გზა ევროკავშირია, „ნაციონალური მოძრაობა" ამ მხრივ უფრო დიდ მნიშვნელობას ნატო-ში გაწევრიანებას ანიჭებს.

„ქართული ოცნების" 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამაში ასახულ ორ უმთავრეს პრობლემას ტერიტორიული მთლიანობა და სიღარიბე წარმოადგენს. შესაბამისად პროგრამის მიხედვით, საჭიროდ მიაჩნიათ ისეთი ცვლილებების განხორციელება, რაც „კიდევ უფრო განამტკიცებს დემოკრატიას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას, უზრუნველყოფს სწრაფ ეკონომიკურ წინსვლას" (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, 2020). ასევე პროგრამაში ვკითხულობთ, რომ „ქვეყნის უსაფრთხოების, ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარებისა და კეთილ-

დღეობის უზრუნველსაყოფად, „ქართული ოცნება“ ურყევად გააგრძელებს პრაგმატულ, მტკიცე, ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამის შედეგებზე ორიენტირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს”. უსაფრთხოების კონტექსტში პროგრამაში გამოკვეთილად აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნისათვის მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. საინტერესოა, რომ **„ნაციონალური მოძრაობის”** პროგრამაში ეროვნული უსაფრთხოების საკითხები, განსხვავებით 2016 წლის პროგრამისაგან, ეკონომიკურ კონტექსტშია განხილული. დოკუმენტის მიხედვით, მათი ამოცანაა “ქვეყანა საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მსოფლიოს მასშტაბით იყოს წარმატებული. უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო არის მთავარი წინაპირობა სახელმწიფოში ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისათვის” (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, Droa.ge, 2020). საინტერესოა, რომ „ნატო-ში” გაწევრიანებაც კი ძირითადად სწორედ ეკონომიკური კეთილდღეობის კონტექსტში განიხილება და ამბობენ, რომ გაგრძელდება განუხრელი მსვლელობა ნატოში გაწევრიანების მიმართულებით. საბოლოო მიზანს კი ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა წარმოადგენს.

ტერიტორიული მთლიანობა - 2016 წლის საპარლამეტო არჩევნების წინ **„ქართული ოცნების”** პროგრამაში აღნიშნულია, რომ დეოკუპაცია და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რაციონალურ საგარეო პოლიტიკის განხორციელება. ეს კი გულისხმობს რუსეთთან ურთიერთობაში დეოკუპაციისკენ მიმართულ პრინციპულ და შეურიგებელ ძალისხმევას, ასევე საუბრობენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მნიშვნელობაზე, ვინა-

იდან მოცემული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის წინაპირობა სწორედ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაა (ქართული ოცნება, 2016). აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით **„ნაციონალური მოძრაობის"** შეხედულებები თანხვედრაშია „ქართულ ოცნებასთან" და ისინიც მთავარ ამოცანად სწორედ ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენას მოიაზრებენ. აქედან გამომდინარე, "ქართული ოცნების" მსგავსად მათაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საერთაშორისო თანამეგობრობის როლი რუსეთზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ასევე, ორივე მათგანი ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიიჩნევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან თანამშრომლობას, "აქედან გამომდინარე, საქართველომ უნდა შექმნას ისეთი ფორმატები და წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებას ქვეყნის დანარჩენი რეგიონების მაცხოვრებლებთან" (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა), 2016).

„ქართული ოცნების" 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში საუბარია იმ კონკრეტულ შედეგებზე, რომელიც მიღწეული იქნა „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენისა და დეოკუპაციისათვის". დოკუმენტში საუბარია, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მყარად უჭერს მხარს საერთაშორისო თანამეგობრობა (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, 2020). ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია „გაეროსა" და „ეუთოს" როლზე. საუბარია, რომ აუცილებელია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების გამოცოცხლება და მისი აქტუალიზაცია პარტნიორების დღის წესრიგში. **„ნაციონალური მოძრაობის"** 2020 წლის პროგრამაში კი ვკითხულობთ, რომ მათი მთავარი გეგმის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო როლის გაზრდა დეოკუპაცი-

ისა და ევროინტეგრაციისათვის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, Droa.ge, 2020). მსგავსად „ქართული ოცნებისა", "ნაციონალური მოძრაობის" პროგრამაშიც აღნიშნავენ, რომ საჭიროა გააქტიურდეს ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებები. დოკუმენტის მიხედვით პარტიის მთავარი გეგმის მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა.

ეკონომიკური ფაქტორები - 2016 წლის საპარლამეტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამაში, **„ქართული ოცნება"** საგარეო პრიორიტეტის განსაზღვრისას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ ფაქტორებს და თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტად მიიჩნევს. ასევე, "ქართული ოცნებისთვის" თავისუფალი ვაჭრობა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ შეთანხმების შედეგად გადავიდა საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობები თვისობრივად ახალ ეტაპზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური განვითარება, გარდა სხვა სოციალური მიზეზებისა, იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ხელს უწყობს ევროპასთან დაახლოების პროცესს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური დიპლომატიის წარმოება მათ ასევე მნიშვნელოვან განმაპირობებლად მიაჩნიათ ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების პროცესში, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს ექსპორტის ზრდას და ინვესტიციების შემოტანას ქვეყანაში (ქართული ოცნება, 2016). **„ნაციონალური მოძრაობაც"** საგარეო სფეროში ერთ-ერთ ერთ ამოსავალ მიზნად სწორედ ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას ასახელებს. განსხვავებით „ქართული ოცნებისგან", ისინი უფრო მეტად აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ყველა მეწარმემ უნდა შეძლოს თავისუფალი ვაჭრობით სარგებლობა, რაც ძირითადად მოიაზრებს უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებელს და არ არის ორიენტირებული იმის-

კენ, რომ საქართველო დაახლოვდეს ევროპულ ღირებულებებთან. აღსანიშნავია, რომ ისინი საუბრობენ, რომ მეწარმეებისთვის აუცილებელია გაიხსნას ჩინური ბაზარიც და ამ მიმართულებით დასრულდეს ხელშეკრულების დადების პროცესი, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ "ნაციონალური მოძრაობისთვის" მთავარი არის ეკონომიკური სარგებელი საქართველოს მოქალაქეებისთვის და არა კონკრეტულ სივრცეებთან დაახლოება და ადაპტირება (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა), 2016).

"ქართული ოცნების" 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში ეკონომიკურ განვითარებას საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია, დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ "მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, 2020). ამავდროულად პროგრამაში აღნიშნულია, რომ "ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკის უმთავრეს შედეგს მათ შორის წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან. ასევე საინტერესოა ისიც, რომ პროგრამაში რუსეთთან მიმართებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ რუსული ბაზარი გაიხსნა ქართველი გლეხებისა და მეწარმეებისთვის. **"ნაციონალური მოძრაობის",** 2020 წლის საარჩევნო პროგრამაში, საქართველოს ევროპულ მომავალს ცალკე თავი აქვს დათმობილი, პირველივე წინადადებაში ვკითხულობთ, რომ სწრაფი ეკონომიკური განვითარება ერთადერთ გზას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის დასამარცხებლად. იმისთვის, რომ საქართველომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეძლოს (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, Droa.ge, 2020). შესაბამისად შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ეკონომიკური ფაქტორები საგარეო ურთიერთობის მიმართულებით პარტიისთვის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს. საუბარია, რომ "გათვალის-

წინებული საგადასახადო რეფორმის შედეგად ევროპის საგადასახადო სისტემის ახალი ერა საქართველოდან დაიწყება". შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის საგარეო მიმართულება მთლიანადაა აგებული ევროკავშირთან სამომავლო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხზე და წარმოდგენილია ხედვა, როგორ ესახებათ ევროპულ ოჯახში გაწევრიანებული საქართველო. საყურადღებოა, რომ აქცენტი კეთდება ევროპის ბაზრების დაჩქარებული წესით ათვისების საკითხზეც.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია - 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით, **„ქართული ოცნების"** ამოცანაა, „სრულად და ეფექტიანად იქნას გამოყენებული ქვეყნის ევროინტეგრაციით განპირობებული შესაძლებლობები. ევროინტეგრაციის პროცესით გათვალისწინებული რეფორმები მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტების დამკვიდრების და წარმატებული ტრანსფორმაციის მისაღწევად" (ქართული ოცნება, 2016). ეს აისახება როგორც ეროვნულ უსაფრთხოებაში, ასევე ეკონომიკური სარგებლის კუთხით და გამოიხატება თავისუფალ ვაჭრობასა და ენერგოუსაფრთხოების მიმართულებებში. ასევე „ქართული ოცნების" პროგრამაში აღნიშნულია ნატო-ს მნიშვნელობაც და საუბარია იმაზე, რომ ნატო-ში ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისა და სტაბილური განვითარების წინაპირობას. აღნიშნულია, რომ საქართველო „მიზანმიმართულად" განაგრძობს სვლას ნატო-ს წევრობისაკენ. თუმცა როგორც პროგრამის ანალიზიდან გამოიკვეთა „ქართული ოცნების" პრიორიტეტს უფრო მეტად ევროპასთან ინტეგრაცია წარმოადგენს, რადგან ამოსავალ პრინციპად სწორედ თავისუფალი ვაჭრობა მიიჩნევა. **„ნაციონალური მოძრაობა"** კი „ქართული ოცნებისგან" განსხვავებით პრიორიტეტულად ნატო-ში გაწევრიანებას მოიაზრებს, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობის საგარეო პოლიტიკის ამოცანაა მშვიდობის უზრუნ-

ველყოფა და ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესება, ასევე ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა და საქართველოს საერთაშორისო როლის მაქსიმალურად გაზრდა. უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით" (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა), 2016). თუმცა „ნაციონალური მოძრაობაც" აღნიშნავს, რომ მათი საგარეო პოლიტიკის ამოცანა საქართველოს მოქალაქეების ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებაა, რაც სწორედ ევროკავშირთან მოლაპარაკებების და მჭიდრო ურთიერთობის გზით მიიღწევა. ისინი თავისუფალ ვაჭრობას საკმაოდ მწირ ყურადღებას უთმობენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ სწორედ თავდაცვითი ორგანიზაციაა ამ პირობებში მათთვის პრიორიტეტული.

„ქართული ოცნების" 2020 წლის საარჩევნო პროგრამა ამავდროულად საინტერესოა იმ მხრივაც, რომ პირდაპირაა აღნიშნული, „საარჩევნო პროგრამა ეფუძნება „ქართული ოცნების" პოლიტიკური გუნდის ამბიციას, შექმნას ყველა პირობა, რათა 2024 წელს საქართველომ გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე" (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, 2020). ასევე დოკუმენტის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ევროკავშირი არის უალტერნატივო სივრცე ჩვენი იდენტობის შენარჩუნების, განვითარებისა და თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად". შესაბამისად პარტიის მიერ აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მათი მიზანი არის სახელმწიფოებრიობის განვითარების ევროპული სტანდარტი, რაც ევროკავშირში გაწევრიანებით არის შესაძლებელი. დოკუმენტის აღნიშნულ ნაწილში საუბარია ამავდროულად ნატო-თან ურთიერთობის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზეც. **„ნაციონალური მოძრაობის"** 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამის წინასიტყვაობაშივე განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული იმაზე, რომ „საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ევრო-ატლანტიკური ოჯახის განუყოფე-

ლი წევრი, ერთიანი და მშვიდობიანი სახელმწიფოა" (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, Droa.ge, 2020). ასევე საუბარია, რომ საჭიროა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების დაჩქარება, რის გზადაც ესახებათ ნატო-საქართველოს პარტნიორობის ფორმატის გააქტიურება, რაც განაპირობებს იმას, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი სახელმწიფო.

რუსეთთან ურთიერთობა - საინტერესოა, რომ **„ქართული ოცნების"** 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში საუბარია რუსეთთან ურთიერთობებზე ეკონომიკური მიმართულებით და აღნიშნულია, რომ „რუსეთთან რაციონალური პოლიტიკის წარმართვის საფუძველზე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობით განპირობებული სარგებლის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების საწინდარს წარმოადგენს" (ქართული ოცნება, 2016). თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ რუსეთთან დიალოგი და პრაგმატული ურთიერთობა გარკვეულ სფეროებში, არ გულისხმობს რაიმე კომპრომისს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე. „პირიქით, ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია საქართველოს დეოკუპაცია და გამთლიანება, მისი მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი საგარეო პირობების შექმნა". აქედან გამომდინარე, გაგრძელდება რუსეთთან მიმართებაში პრაგმატული პოლიტიკის გატარება. რაც შეეხება **„ნაციონალურ მოძრაობას",** ისინი წინააღმდეგნი არიან რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის და აღნიშნავენ, რომ „საქართველო ყველა პოლიტიკური, სამართლებრივი და მშვიდობიანი საშუალებით წინ უნდა აღუდგეს რუსეთის ფედერაციის ქმედებებს" (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა), 2016). აქედან გამომდინარე, ისინი რუსეთთან ურთიერთობის ერთადერთ მექანიზმად ჟენევის საერთაშორისო

მოლაპარაკებების ფორმატს აღიარებენ, რაც ხელს შეუწყობს სამშვიდობო პოლიტიკის გატარების პროცესს.

„ქართული ოცნების" 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში აღნიშულია, რომ 2012-2016 წლებში საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს შედეგს წარმოადგენს პრაგმატული და პრინციპული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით, რაც გულისხმობს იმას, რომ მინიმუმამდე შემცირდა რუსეთიდან მომდინარე საგარეო პოლიტიკური საფრთხეები (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, 2020). პროგრამაში მიმოხილულია ის ნაბიჯები, რაც გადაიდგა „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენისა და დეოკუპაციისთვის". დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მნიშვნელოვანია „საერთაშორისო არენაზე, ისევე, როგორც პარტნიორების რუსეთთან ურთიერთობის დღის წესრიგში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხის მაღალ დონეზე შენარჩუნება და გაძლიერება" (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, 2020). საინტერესოა, რომ რუსეთთან ურთიერთობა „ნაციონალური მოძრაობის" 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები, ერთხელ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის გააქტიურების საჭიროების კონტექსტში, სადაც ხაზგასმულია, რომ ფორმატის მეშვეობით, საქართველო დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით არ არის დარჩენილი პირისპირ რუსეთთან. ხოლო მეორედ რუსეთის საკითხი გამოყენებულია დევნილების პოლიტიკასთან მიმართებით და პარტია აღნიშნავს, რომ აამუშავებს „ყველა სამართლებრივ მექანიზმს რუსეთის მიერ განხორციელებული ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა წინააღმდეგ" (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, Droa.ge, 2020).

ენერგეტიკული უსაფრთხოება - 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობაზე პარტიები

თანხმდებიან. **„ქართული ოცნება”** აღნიშნავს, რომ „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია მეზობელ სახელმწიფოებთან, შავი და კასპიის ზღვის რეგიონის, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და მათი შემდგომი განვითარება” (ქართული ოცნება, 2016). ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ, „ქართული ოცნება” ცდილობს კონტაქტები ჰქონდეს, როგორც რეგიონის ქვეყნებთან, ასევე ევროპასთან და აზიასთან. ხოლო მეორე მხრივ, ენერგოუსაფრთხოებას ისევ და ისევ სწორედ სავაჭრო-ეკონომიკურ ჭრილში მოიაზრებენ. მოცემული რეფორმები, გარკვეულწილად, ემსახურება სწორედ საქართველოსადმი სხვა ქვეყნების მხრიდან ეკონომიკური ინტერესის ზრდას, რაც თავის მხრივ გამოიხატება საქართველოს ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის პოპულარიზაციაში. რაც შეეხება **„ნაციონალურ მოძრაობას”,** უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს, ტრანზიტულ როლზე, აქედან გამომდინარე მათთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს რეგიონულ ეკონომიკური ცენტრად ჩამოყალიბებას და „კიდევ უფრო აქტიურად ჩართვას საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში” (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა), 2016). პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელ სახელწმიფოებთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობას და „კავკასიის ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევას”. „ქართული ოცნების” მსგავსად "ნაციონალური მოძრაობაც" აუცილებლად მიიჩნევს ამ კუთხით ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაღრმავებას, რაც საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში დაეხმარება და “ასევე, საექსპორტო ბაზრების გაფართოებაში, რაც მეტ კეთილდღეობას მოუტანს საქართველოს მოქალაქეებს” (ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა, საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა), 2016). აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთხელ კეთდება აქცენტი ეკონომიკის მნიშვნელობაზე, რაც უზრუნველყოფს სწორედ მოქალაქეების ეკონომიკურ კეთილდღეობას.

„ქართული ოცნების" პროგრამაში საუბარია, რომ პარტიის ენერგეტიკული პოლიტიკა მიზნად ისახავს ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების ზრდას". თუმცა უნდა აღინიშნოს რომ 2020 წლის საარჩევნო პროგრამაში აღნიშნული საკითხი განხილულია საშინაო პოლიტიკის ჭრილში და საგარეო მიმართულების საკითხებთან აღნიშნულ თემაზე ყურადღება გამახვილებული არ არის, განსხვავებით 2016 წლის პროგრამისაგან, სადაც ენერგოუსაფრთოების საკითხებზე რეგიონულ კონტექსტში იყო აქცენტი გაკეთებული.

მნიშვნელოვანია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" 2020 წლის საარჩევნო პროგრამაში სრულებით არ არის საუბარი ენერგოუსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, არა თუ საგარეო, არამედ საშინაო კონტექსტშიც კი, განსხვავებით 2016 წლის პროგრამისაგან.

დასკვნა

მოცემული კვლევით პასუხი გაეცა ჩემს საკვლევ კითხვას და გამოიკვეთა ის ფაქტორები, რაც განაპირობებენ საქართველოს, როგორც „პატარა ქვეყნის", საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას. აღნიშნული ფაქტორებია: ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური ფაქტორები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რუსეთთან ურთიერთობა, ენერგოუსაფრთხოება.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ საგარეო ორიენტირის განსაზღვრის მიმართულებთ, ჩემს მიერ შესწავლილ პარტიებს ერთმანეთისაგან განსხვავებული პრიორიტეტები გააჩნიათ. პარტიული სპექტრის განცხადებით, რუსეთთან ურთი-

ერთობები სწორედ ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობიდან გამომდინარე უნდა დარეგულირდეს, თუმცა მოცემული საკითხის კომპლექსურობა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის საგარეო ორიენტის განსაზღვრისას ქვეყანა შესაძლოა მხოლოდ ერთ ფაქტორს არ დაეყრდნოს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პარტიები განსხვავებულად აფასებენ საერთაშორისო პარტნიორების როლს. ასევე ჩემს მიერ შესწავლილი პარტიები, განსხვავებულად ხედავენ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გზებს, „ქართული ოცნება" მიიჩნევს, რომ გარდა ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატისა, მისაღებია სხვა ფორმატებიც, (მაგ. აბაშიძე-კარასინის ფორმატი), რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას" ისინი გამორიცხავენ რუსეთთან მოლაპარაკების ყოველგვარ ფორმატს, გარდა ჟენევის მოლაპარაკებებისა. ასევე აღსანიშნავია, ენერგოუსაფრთხოების როლი საგარეო კურსის განსაზღვრის პროცესში, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ენერგოუსაფრთხოება შესაძლოა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყოს და არა მთავარი განმსაზღვრელი გარემოება.

რაც შეეხება, უშუალოდ საგარეო ორიენტირის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს, პარტიებში, განსხვავებული პრიორიტეტები გამოიკვეთა:

- "ქართული ოცნება", საგარეო ორიენტირის მთავარ განმსაზღვრელად მოიაზრებს ეკონომიკურ ფაქტორებს, რაც თავის თავში მოიაზრებს თავისუფალ ვაჭრობის გაღრმავებას პარტნიორ სახელმწიფოებთან.
- "ნაციონალური მოძრაობა“ საგარეო ორიენტირის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად ეროვნულ უსაფრთხოებას მოიაზრებს და სწორედ აქედან გამომდინარე სახავენ მთავარ პრიორიტეტს - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციას.

- ჩემს მიერ შესწავლილი პარტიების შემთხვევაში, განსხვავებით 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამებისა, 2020 წლის საარჩევნო პროგრამებში, ნაცვლად უსაფრთხოებისა, წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა საგარეო ორიენტირის განსაზღვრის პროცესში.
- განსხვავებით 2016 წლის საარჩევნო პროგრამებისა 2020 წლის საარჩევნო პროგრამებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს და შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის პროგრამებში აღნიშნული საკითხის დატვირთვა უგულებელყოფილიც კია.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის პროცესში, პარტიების ხედვების შესწავლისას (მიუხედავად შერჩეული პარტიების განსხვავებული დამოკიდებულებებისა სხვადასხვა ფაქტორების მიმართ), დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ეროვნული უსაფრთხოება და ეკონომიკური ფაქტორები. სწორედ ეროვნულ უსაფრთხოებას უკავშირებენ პარტიები საგარეო ორიენტირის მიმართულებით გადადგმულ ყველა ნაბიჯს, მათ შორის ეკონომიკურ განვითარებასაც და აღნიშნავენ, რომ მოცემულ ცვლადებს შორის არსებობს კაუზალური კავშირი, ვინაიდან თუ არ იქნება ეროვნული უსაფრთხოება, ვერ განვითარდება ეკონომიკა და პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურა

აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი , საქართველო: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. *ბოლო ნახვა: 20.11.2021.*

დოილი, მ. (2004). *კანტი, ლიბერალური მემკვიდრეობა და საგარეო ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია.* თბილისი, საქართველო: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი. *ბოლო ნახვა: 28.11.2021.*

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი - NDI. (2018, აპრილი 30). *საზოგადოების განწყობა საქართველოში.* მოიებულია www.caucasusbarometer.org: http://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/codebook/ *ბოლო ნახვა: 26.12.2021.*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2016). *საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა).* მოპოვებული www.ivote.ge: http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22449-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-nacionaluri-modzraoba.html?lang=ka-GE-დან *ბოლო ნახვა: 12.10.2021.*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2020). *Droa.ge.* Retrieved from მდიდარი საქართველო - ძლიერი ოჯახი: https://droa.ge/wp-content/uploads/2020/10/5-საარჩევნო-ბლოკი-„ერთიანი-ნაციონალური-მოძრაობა-გაერთიანებული-ოპოზიცია-„ძალა-ერთობაშია.pdf *ბოლო ნახვა: 28.10.2021.*

მაისაია, ვ. (2013). *საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები "ცივი ომის" შემდეგ (1991-2004 წ.წ.).* თბილისი, საქართველო: სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. *ბოლო ნახვა: 12.12.2021.*

ჟვანია, ნ. (2006). *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია.* თბილისი, საქართველო: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. *ბოლო ნახვა: 12.12.2021.*

ჟორდანია, ნ. (1990). *რჩეული ნაწერები.* თბილისი, საქართველო: საქართველო. *ბოლო ნახვა: 15.12.2021.*

რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი, საქართველო: ნეკერი. *ბოლო ნახვა: 14.12.2021.*

რონდელი, ა. (2009). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.* თბილისი, საქართველო: ნეკერი. *ბოლო ნახვა: 14.12.2021.*

საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2019). *საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.* Retrieved from mfa.gov.ge: https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx *ბოლო ნახვა: 10.12.2022.*

საქართველოს კონსტიტუცია. (2020, 06 29). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* მოძიებულია https://matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346 *ბოლო ნახვა: 10.12.2022*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. *საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია* . მოძიებულია www.mfa.gov.ge: http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx *ბოლო ნახვა: 10.12.2022.*

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი - IRI. (2018, 30 მაისი). *საზოგადოებრივი აზრის კვლევა - საქართველოს მოსახლეობაში.* მოძიებულია www.iri.org: http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf *ბოლო ნახვა: 26.12.2021.*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. *საქართველო ნატო-ს ურთიერთობები.* მოძიებულია www.mfa.gov.ge: http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%*ბოლო ნახვა: 10.12.2022.*

საქართველოს პარლამენტი. *ნატო და მსოფლიო უსაფრთხოება.* მოძიებულია www.parlament.ge: http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/sagareo-urtiertobata-komiteti-147/biuleteni-nato-da-msoflio-usafrtxoeba1130 *ბოლო ნახვა: 10.12.2022.*

საქართველოს მთავრობა. (2011). *საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია*. Retrieved from mod.gov.ge: https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf *ბოლო ნახვა: 14.12.2022.*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2019, 03 28). *საქართველოს მთავრობამ 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგია დაამტკიცა*. Retrieved from mfa.gov.ge: https://mfa.gov.ge/News/%E2%80%8Bsaqartvelos-mtavrobam-2019-2022-clebis-sagareo-po.aspx *ბოლო ნახვა: 12.12.2021.*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). *მოსახლეობის აღწერა*. მოძიებულია www.geostat.ge: http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo *ბოლო ნახვა: 14.12.2021.*

ფანჯიკიძე, მ. *საქართველოს ევროპული არჩევანი: დასავლური საგარეო პოლიტიკა და მშვდიდობიანი განვითარება*. მოძიებულია www.georgianpolitics.com: http://www.georgianpolitics.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9/ *ბოლო ნახვა: 28.10.2021.*

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო. (2020). *gd.ge*. Retrieved from საარჩევნო პროგრამა 2020: https://gd.ge/uploads/programs/b5045f9c70101fae8.pdf *ბოლო ნახვა: 28.11.2021.*

ქართული ოცნება. (2016). *საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო)*. Retrieved from http://www.ivote.ge/: http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22436-saarchevno-programa-saparlamento-

archevnebi-2016-qarthuli-ocneba-demokratiuli-saqarthvelo.html?lang=ka-GE *ბოლო ნახვა: 12.10.2021.*

ხოშტარია, ე. (2014, სექტემბერი 10). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა.* მოძიებულია www.forbes.ge: http://forbes.ge/news/389/saqarTvelos-sagareo-politika *ბოლო ნახვა: 28.11.2021.*

Beacháin, D. Ó., & Coene, F. (2014). Go West: Georgia's European identity and its role in domestic politics and foreign policy objectives . *Nationalities Papers 42(6)*, 923-941.

Chitadze, N. (2014). European integration as one of the main foreign policy and national security priorities of Georgia. *Journal of Social Sciences 3(2)*, 29-38.

Davtyan, E. (2021). Agency and perceptions of smallness: understanding Georgia's foreign policy behaviour. *Caucasus Survey 9(2)*, 120-139.

Gilpin, R. (1987). *The Political Economy of International Relations.* Princeton, New Jersey, USA: Princeton University Press. *ბოლო ნახვა: 24.11.2021.*

Gogorishvili, I. (2016). Foreign Economic Policy of Georgia Since Gaining the Independence. *Estonian Discussions on Economic Policy 24(1).*

Handel. (1990). *Weak States In The International System.* London, England: Frank Cass. *ბოლო ნახვა: 24.11.2021.*

Handel, M. (1990). *"Weak States In The International System".* London, England: Frank Cass. *ბოლო ნახვა: 14.11.2021.*

Kakhishvili, L. (2021). owards a two-dimensional analytical framework for understanding Georgian foreign policy: how party competition informs foreign policy analysis. *Post-Soviet Affairs 37(2)*, 174-197.

Kennan, G. F. (1977). *The Cloud of Danger: Some Current Problems of American Foreign Policy.* Boston, United State: Little Brown and Company. *ბოლო ნახვა: 17.11.2021.*

Morgenthau, (. (1993). *Politics Among Nations, The Struggle for Power and Peace.* New York, United State: McGraw-Hill. *ბოლო ნახვა: 11.11.2021.*

National democratic institute. (2021, 01 27). *საზოგადოების განწყობა საქართველოში.* Retrieved from https://www.ndi.org/georgia-polls: https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR0ZQ17Acbn6Qj7ETyEWtEZkqr-1WknuT5BnAxH7nntxVuH7o0qXZ2HpfNc *ბოლო ნახვა: 17.11.2021.*

Rothstein, R. (1969). *Alliances And Small Powers.* New York, United States: Columbia University Press. *ბოლო ნახვა: 11.11.2021.*

Tabatadze, S. (2021). Party-Based Euroscepticism: The Case of Georgia. *Demokratizatsiya: The Journal of Post-Soviet Democratization*.

Vital, D. (1967). *The Inequality of States: A Study of the Small Power in International Relations* . Oxford, England: Clarendon Press. *ბოლო ნახვა: 11.12.2021.*

Wolfers, A. (1965). *Discord and collaboration: essays on international politics.* Baltimore, Maryland, United State: Johns Hopkins University Press. *ბოლო ნახვა: 14.12.2021.*

Www.amerikiskhma.com. (2018, 05). *ლუკ კოფი საქართველოს ნატოში დაჩქარებულ გაწევრიანებაზე.* Retrieved from https://www.amerikiskhma.com/a/luke-coffey-interview/4239477.html ბოლო ნახვა: 20.11.2021. *ბოლო ნახვა: 10.01.2022.*

Khatia Imerlishvili

The Factors Defining Foreign Policy Orientation According to the Political Parties of Georgia

Annotation

Determining the foreign orientation is the most important factor for the action of any country in the foreign arena. In the direction of the country's influence on the international arena, the foreign policy orientation determines the country's strategic goals, objectives and priorities. Accordingly, the purpose of the mentioned article is to determine what specific issues and factors appear in the determination of Georgia's foreign policy orientation.

The paper presents the official position of the country, according to the declared documents. At the same time, in order to study the issue in depth, the official positions of the Georgian party spectrum are given in relation to the given issue, based on the positions announced in the pre-election programs. The paper also reviews the existing theoretical aspects and literature in the direction of foreign policy determination.

The qualitative research method is used in the research. In particular, the methods of secondary sources, literature analysis and document analysis. As for the selection method, the work is based on non-probability selection method, namely purposive selection, according to which two parties were selected for the study: "Georgian Dream" and "United National Movement".

During the processing of the documents, six main factors were identified, which have influence in the development of the country's foreign orientation. Here are the following factors: national security, territorial integrity, economic factors, European and Euro-Atlantic integration, relations with Russia, energy security.

Based on the mentioned factors, according to the pre-election programs, I researched the declared positions of the parties in the

direction of determining the foreign political orientation. However, based on the results of the research, among the given factors, in the paper, special attention is paid to the role of national security and economic factors.

Key words: foreign policy, international policy, foreign orientation, national security, territorial integrity, economic factors, European and Euro-Atlantic integration, relations with Russia, energy security.